



22110111



International Baccalaureate®
Baccalauréat International
Bachillerato Internacional

GEORGIAN A1 – STANDARD LEVEL – PAPER 1
GÉORGIEN A1 – NIVEAU MOYEN – ÉPREUVE 1
GEORGIANO A1 – NIVEL MEDIO – PRUEBA 1

Wednesday 11 May 2011 (morning)

Mercredi 11 mai 2011 (matin)

Miércoles 11 de mayo de 2011 (mañana)

1 hour 30 minutes / 1 heure 30 minutes / 1 hora 30 minutos

INSTRUCTIONS TO CANDIDATES

- Do not open this examination paper until instructed to do so.
- Write a commentary on one passage only. It is not compulsory for you to respond directly to the guiding questions provided. However, you may use them if you wish.

INSTRUCTIONS DESTINÉES AUX CANDIDATS

- N'ouvrez pas cette épreuve avant d'y être autorisé(e).
- Rédigez un commentaire sur un seul des passages. Le commentaire ne doit pas nécessairement répondre aux questions d'orientation fournies. Vous pouvez toutefois les utiliser si vous le désirez.

INSTRUCCIONES PARA LOS ALUMNOS

- No abra esta prueba hasta que se lo autoricen.
- Escriba un comentario sobre un solo fragmento. No es obligatorio responder directamente a las preguntas que se ofrecen a modo de guía. Sin embargo, puede usarlas si lo desea.

დაწერეთ ერთ-ერთი ტექსტის კომენტარი:

1.

იყო ხელმწიფე ერთი, რომლისა საქმენი არავისგან მოიგონებიან, რომელსა სიკეთისა და სიქელისაგან ეგოდენი მოწყალებანი შეეკრიბნა გულსა თვისსა, თავად არ აღირაცხოდა. სიფიცხლე და უწყალოება ჯავრისანი გულისაგან დათის შიშისა ნიავით გაექარვებინა, სიუხვე მისის ნოტიოს 5 დრუბლისაგან უმრავლესად გაეგრილა და ყოველთა კაცთა ზედა საბოძვარი ცათა წვიმისათვის გარდაემატებინა.

მისი შიში და ზარი ესრეთ განფენილ იყო პირსა ყოვლისა ქვეყანისასა, მეხის ტეხისა უსაზარლესად მიაჩნდათ. მისი სიტკბო და ალერსი ესრეთ შეეტკბოთ, ჩჩილთა წულთაებრ, სძისა და ძუძუთა უსაყვარლესად მიეზიდათ.

10 და იყო სახელი დიდისა მის და მაღლისა მეფისა ფინეზ.

და პყვა ვაზირი ეგეთი, რომე სიბრძნითა მისითა ცათა აღწევნილ იყო, ჰკუითა ხმელთა სიგრძე და განი სრულად განეზომა, მეცნიერებითა ზღვათა უფსკრულთა მიწევნილ იყო, პარსკვლავთა საქმენი გულის ფიცართა გამოეწერა. ესეთი სიტკვის სიტკბო პქონდა, მხეცთა კაცთა 15 მსგავსად მოაქცევდის, ტინთა ცვილებრ დადნობდის და მფრინველთა კაცებრ აუბნობდის. და იყო სახელი ვაზირისა მის სედრაქ. დიდად უყვარდა მეფესა ვაზირი იგი.

და არა იყო გულსა მეფისასა ზრუნვა გინა შეჭირვება უძეობისა კიდე, რომე შვილი არა ესვა.

20 დღესა ერთსა გახსნა და გასცა განძი ურიცხვი გლახაკთა ზედა, რათა ევედრონ ღმერთსა ძისა ბოძებისა მისისათვის.

და იყო საჭურისი მეფისა კაცი გულებარი და ფიცხელი. სეფეთუხუცესი იყო და გულითადი მეფისა, რომელსა ერქვა რუქა. და თქვა:

- რომელსა მეფესა გარდაუგია სალარო ესეოდენი?..

25 გამოხდეს ხანი და ჟამი რაოდენიმე. შეიწყალა ღმერთმან და მისცა მეფესა ძე ესეთი, რომე სინათლითა მზე მოშურნეობდა, ათხუთმეტისა დღისა მთვარე მისგან ითხოვდა, ვარსკვლავნი მისსა კამკამებასა გაეცვიფრებინა, შავნი მერცხლისა მხარნი ბროლთა ზედან განპყრობით დაეშვენებინა, მელნის გუბენი გიშრის ლერწმით შემოესარა, ვარდი და ზამბასი 30 ერთმანეთში აეყვავებინა. სახელად ჯუმბერ უწოდეს.

რა მოიზარდა, გამოიყვანა მეფემან, ვაზირსა თვისსა სედრაქს და საპატრონოთა თვისთა აჩვენა. აიყვანა ვაზირმან, დალოცა და მოახსენა:

- მეფეო, ღმერთმან გიცოცხლოს და ბედნიერმცა არს ძე შენი ესე და კურთხეულ ამიერითგან უკუნისამდე. და მიეცეს ამას გულისხმიერობა ვირისა, 35 ერთგულობა ძაღლისა და ძაღლი ჯინჯველისა.

- ესმა რა ესე რუქა საჭურისსა, აღშფოთდა, და უთხრა ვაზირს:

რად მიიღე წყვავა ძესა ზედა მეფისასა? ვაზირი გონიერი, წყნარი და სიტყვამარჯვე ხამს, ამად რომე ხელმწიფესთან მყოფს ხუთნი საქმენი უნდა სჭირდეს: ერთი - სიტყვა ტკბილი უნდა პქონდეს; მეორე - 40 გამწყრალი დააწყნაროს, არა თუ მხიარული გააწყროს; მესამე - პირიდამ ავი სიტყვა არ წაიცოუნოს; მეორხე - სიტყვის თქმის ჟამი იცოდეს; მეხუთე - რაც თქვას, ყოველს კაცს მოაწონოს.

შეხედა სედრაქ და რქვა:

- შენ ყოველსა მართალსა იტყვი, მაგრამ ოდეს მამაკაცსა
 45 სამამაკაცო დაეკვეთოს, დიაცის ბუნება მიეცემის. ამით სცან, რომე ულვაშნი
 და წვერნი მისნი თან აღმოიფხვრას. საჭურისსა სამნი საქმენი მართებან:
 პირველად — მხევლებრივ მორცხვობა; მეორედ — ავთა ენათა შენახვა;
 მესამედ — პატრონისა ხვაშიადისა დაკრძალვა. თვარემ მე ძე მეფისა არ
 დამიწყევლია. თუცა გინებს, ადრე სცხობ. ვირი ერთსა უყესა ტალახსა
 50 შიგან გაატარე, რათა დაეფლას. მერმე გზა იგი გაახმე. თუცა შენ ვირი
 გზასა მას ზედა გაატარო, უგუნურმცა არს. ძალლი კაცისა გლახაკისა,
 მჭლე და დიდად უსუქარი, მიიყვანე და მდიდარსა კაცსა მიაბარე
 55 რათა გაასუქოს. მერმე ორთავე უხმონ. თუცა პირველი, დამამჭლობელი,
 დაუტეოს და რომელმან გაასუქა, მას გაჰყენე, ორგულ არს. ჯინჭველი შეიპყარ
 და ერთსა ჭიქასა ათორმეტნი დღენი დააყოფინე მშიერსა და მერე გამოუტევე-
 თუცა თვისისა ზომისაგან ოთხი წილი მეტი არ აიღოს წაღებად, უსუსურმცა არს
 და მე სიტყვამცდარიო, თვარა რად გამკიცხეო!
- მოასხეს სამნივე და ჰყვეს ეგრეთ და ყოველივე თქმულებრ იყო.
 იხარებდა მეფე დიდად ვაზირისა სიტყვასა და ძისა მისისა სიკეთესა ზედა.

სულხან-ხაბა თრბელიანი „ხიბრძნე სიცრუისა“ (1859)

- იმსჯელეთ, რა მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს იყენებს ავტორი მეფის სახის წარმოსაჩენად.
- იმსჯელეთ, როგორ იხატება ვაზირის სახე ამ ეპიზოდში.
- იმსჯელეთ, როგორ იყენებს ავტორი თხრობის სტრუქტურას ამ მონაკვეთში.

2.

გაუხედნავი კვიცი იყავი
და სისხლიანი, როგორც ჩადატარ.
დარჩები ლექსში გაურიყავი,
ცოდვაა, ამ ლექსს საფლავში გატან.

- 5 მოგდევდა სევდა დიდ ტრამალების
და მოატანე დარიალამდე.
სული სულს როგორ დაემალება?!
ჩვენი თვალებიც ცრემლით დალამდენ.

- 10 განა შენ დარჩი მარტო ცოცხალი,
რომ გადარჩენა არ გხარებია?..
ვინ დაითვალოს ცრემლის კურცხალი,
სირცხვილი, რაც გულს გაჰკარებია?..

გდიოდა ლექსი შენ, როგორც სისხლი, –
მოურჩენელი გულის იარა.

- 15 თავის სიკვდილით თავს ვერ დაიხსნი
და სისხლი მხოლოდ სისხლს ეზიარა.

გამთენისას ხაშის დიდ ქვაბში
ხარშავდა კეპკას მთვრალი პაოლო.
ყინვას გაჰქონდა გარეთ კაშკაში,
20 სიკვდილმა ხელი მაგრად ჩაგავლო.

არ გამოცვლილა ხომ პოეზია –
შუზები ცისკრის კარებს აღებენ,
მხოლოდ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია,
ჩვენც ალბათ სადმე ჩაგვაძალებენ.

- 25 და გულში სტირის შენი ანდერძი:
სადღეგრძელოში გვახსოვდე მარად.
წითელ ღვინოში – შენ პურის კერძი
წამოზრდები სისხლის ტომარად.

- 30 დმერთი და სჯული... არა ვართ შორი,
მონდოლის სისხლი გვიდულს ორთავეს,
სული დააპეს და მერე მძორი...
მძორიც ძერებმა გამოათავეს.

ასე უჭირდა ალბათ ამირანს,
რომ დაულეწეს ჩვენსავით მკერდი...
35 შევსვამთ საწამლავს... ჩვენ როგორც მირონს –
პირველად შენ სოქვი ეს ალავერდი.

- ჩოფურაშვილთან ვიყავით წუხელ,
შენზე ღრიალით გასკდა არდანი.
საკუთარ ძმასაც ვეღარ გავუმხელ,
40 რაც ჩაკირულა გულში ბალდამი...
- სამწუხაროა ყველა ესენი
და უფრო მწარე კიდევ ის არი,
ლამაზო ბიჭო! სერგეი ესენინ!
ცოცხალს არ გეხმის ეს საფიცარი!..
- 45 ამხანაგებო, თუ ღრმა დელეში
ჩვენი თავებიც სადმე დაგორდეს,
ყველამ იცოდეს – სხვა პოეტებში
ესენინ ჰყავდა ძმად ცისფერ ორდენს!..

ტიტოან ტაბიძე „სერგეი ესენინ“ (1926)

- იმსჯელეთ, როგორ იყენებს ავტორი მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს სერგეი ესენინის სახის დასახატავად.
- რა შეგიძლიათ თქვათ იმის შესახებ, თუ როგორ გამოხატავს ავტორი განწირულების შეგრძნებას ამ ლექსში?
- იმსჯელეთ, რა საშუალებებით ქმნის ავტორი ლექსის დრამატულ ხასიათს.